

# ნაციონალური „რუსთავი-2“ ქვეყნის აშკარა მტერია!


„რუსთავი-2“-ის ეგრეთ წოდებული გენერალური დირექტორის მაღალშემოსავლიან სავარძელს ჩაბლაუჭებული გაიძვერა გვარამია ცალახში სერის ქართულ მართლმსაჯულებას და მიაბიგ ადამიანებს სიცრუის ბადეში უყრის თავს. კერძო საკუთრება და სიგყვის თავისუფლება ორი სრულიად სხვადასხვა ცნებაა. ამჯერად საშიშროება ემუქრება კერძო საკუთრებას და არა სიგყვის თავისუფლებას, რომელსაც მამაძაღლურად ამოფარებულია

უმანკო მტრედის ნიღაბმორგებული ქვებუდანი გვარამია, და დღეს რუსთაველზე სინამდვილეში მოგყუებული ადამიანების მხარდაჭერით ქვეყანაში არგამოსაყოფ თავს იცავს და არა თავისუფალ სიგყვას!

„რუსთავი-2“ ამ პოლიტიკურად მნიშვნელოვანი ადამიანის ხელში ქვეყნის აშკარა მტერია, რომელსაც მავნე ნაციონალების გარდა, სხვა ხელისუფლება ვერც წარმოუდგენია საქართველოში!..

# საქართველოს რუსოფობია

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, ბოლომდე ბეჭდუდი სიფყვას, ცდილობით და ჭიბბით ბუბთის გაფანა ცუღა უჯარბისბაზუ უსაბაღუსია.

შაბათი, 11 მარტი. 2017 წ. №53 (8190), გამოცემის 99-ე წელი

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.

## ორი მამალაძე, ერთი - პროპოკატორი, მეორე - არაადექსპატური!



4

**დაინტერესა თუ არა „ცინილის საქმე“?**

— ნომრის ციბატა —

დეკანოზმა მამა გიორგი მამალაძემ თავისი სავარაუდო ცინილით, საბედნიეროდ, უშუალო მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ ჩვენი საზოგადოება კი ნამდვილად დაზარადა და მოწამლა...

იმედია, საქართველოს მთავარი პროკურატურა დაჩქარებული წესით იმოქმედებს და რაც შეიძლება მალე გამოავლენს მთელ უტყუარ სიმართლეს!

ამ ამბის გაზღაპრება ისევე დაუჯერებელი ჩანს, როგორც უბილოდ სიმზრის ნახვა...

## არ ბაძა ამ ჩვენი ბიუროკრატიის მუსკელი!

3

## რატომ ვერ შეძლო გამსახურდიათ თბილისის ზღვაზე სიგუა-კიბოვანის ბანლის შეპყრობა-დაპატიმრება?



6

## როგორ მოკლეს კათალიკოს-პატრიარქი კირიონი

5



## ეუთოს მუდმივ საბჭოში განიხილეს

ეუთოს მუდმივი საბჭოს ფარგლებში ეუთოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის ინიციატივით რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მიერ აფხაზეთის რეგიონის საოკუპაციო ხაზის გასწვრივ, სოფლებში ნაბაკვესა და ოტობაიაში ე.წ. გადასასვლელი პუნქტების დახურვის საკითხი განიხილეს.


აღნიშნულ საკითხზე მუდმივ საბჭოში განცხადება გააკეთა ეუთოში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენლმა, ელჩმა კონსტანტინე ზალდასტანიშვილმა. მან ყურადღება გაამახვილა გადაწყვეტილების ნეგატიურ შედეგებზე, რომელიც აფხაზეთის რეგიონის და იქ მცხოვრები მოსახლეობის სრულ იზოლირებას ემსახურება. საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის განცხადებით აღნიშნული გადაწყვეტილებით უხეშად ირღვევა ადგილობრივი მოსახლეობის თავისუფალი გადაადგილების, პირადი და ოჯახური ცხოვრების, ასევე განათლებისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის ფუნდამენტური უფლებები, რაც კიდევ უფრო გაართულებს ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონში ჰუმანიტარული კუთხით არსებულ ისედაც მძიმე მდგომარეობას.

სწდომაზე საქართველოს მხარდაჭერი განცხადებები გააკეთეს ეუთოში

აშშ-ის, ევროკავშირისა და კანადის (კანადამ განცხადება გააკეთა ასევე ნორვეგიის სახელით) დელეგაციებმა. ევროკავშირის სახელით გაკეთებულ განცხადებას მიუერთდა ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია, მონტენეგრო, ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, უკრაინა და მოლდოვა.

გამომსვლელებმა თავის განცხადებებში დაგმეს ოკუპირებულ აფხაზეთის რეგიონში ე.წ. გადასასვლელი პუნქტების დახურვის ფაქტი. მათ ერთმანდას გამოხატეს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდაჭერა საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში. მათ მოუწოდეს რუსეთის ფედერაციას, შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები და ასევე, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას მისცეს ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონებში შესვლის შესაძლებლობა, როგორც ამას მისიის მანდატი ითვალისწინებს.

თავის განცხადებაში აშშ-ის წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ დაგმო ცხინვალის რეგიონში დაგეგმილი უკანონო „რეფერენდუმი“ და განაცხადა, რომ აშშ არ აღიარებს ე.წ. „რეფერენდუმის“ შედეგებს.



















# განხილვა ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს „ენერგოტრანსი“ აცხადებს ტენდერს საწვავის შესყიდვაზე ქვემოთ მოცემულ საწვავის რაოდენობასა და საწვავის ტიპზე:

#	საწვავის დასახელება	რაოდენობა (ლიტრი)
	1	2
1	ბენზინი პრემიუმი (ოქტანობა - არანაკლებ 95)	13500
2	დიზელი (არაუმეტეს 50 PPM)	29000

● საწვავის მიწოდება უნდა განხორციელდეს მიწოდების ავტოგასამართ სადგურებზე წარდგენილი სათანადო პლასტიკური ბარათების მეშვეობით.

● საწვავის ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს ტენდერის განხილვის დღეს (2017 წლის 24 მარტი) „პრეტენდენტის“ საცალო რეალიზაციის ქსელში არსებულ ერთი ლიტრი საწვავის ფასზე შემოთავაზებული დისკონტის გათვალისწინებით. შეფასება განხორციელდება ჯამური ღირებულებების მიხედვით. გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გასაყიდი საწვავის ერთი ლიტრის ფასი განსაზღვრული იქნება შესაბამისი საწვავისთვის 2017 წლის განმავლობაში განაცხადის გაკეთების დღეს ქსელში ანალოგიურ პროდუქტზე დაფიქსირებულ ერთი ლიტრი საწვავის ფასს გამოკლებული შემოთავაზებული დისკონტით. ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება იქნება 90000 (ოთხმოცდაათი ათასი) ლარი.

● საწვავის ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა თანმდევი ხარჯის გათვალისწინებით, მათ შორის: დ.დ.გ.-ს, საწვავის ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯების, ავტოგასამართ სადგურებზე საწვავის მიწოდების ხარჯების, პლასტიკური ბარათების დამზადება-მომსახურების ხარჯების გათვალისწინებით.

● ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში. ანგარიშსწორება განხორციელდება შემსყიდველის სპეციალურ ანგარიშზე ფაქტიურად საწვავის ჩატვირთვაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

● საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად, ამასთან თითოეულ ეტაპზე მოთხოვნილი იქნება საერთო მოცულობის არაუმეტეს 25%-ისა.

● პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: არანაკლებ 10 ავტოგასამართ სადგური ქ. თბილისში, ავტოგასამართ სადგურები შემდეგ რეგიონებში ან მიმდებარე ტერიტორიაზე: ქვემო ქართლში (რუსთავი, მარნეული); სამეგრელო - (ზუგდიდი, სენაკი); იმერეთი - (ქუთაისი, ზესტაფონი), შიდა ქართლი (გორი, ხაშური); სამცხე ჯავახეთი (ახალციხე, ახალქალაქი).

● სატენდერო წინადადების ფასის კვების ბიჯი უპირობოა და უნდა იყოს „შემდგომში - ბიჯი“ - 0.02 ლარი ერთ ლიტრ საწვავზე.

● საწვავის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ ან/და საერთაშორისო სტანდარტებს (ISO) ან გოსტს ან ევროპულ ნორმებს (EN) ან აშშ სტანდარტს (API) და პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

● საწვავის მთლიანი რაოდენობის არ შესყიდვისათვის „შემსყიდველს“ პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

● საწვავის მთლიანი რაოდენობის არ შესყიდვისათვის „შემსყიდველს“ პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

აუცილებელი პირობა: შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების 3%-ის ოდენობით. ასევე გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა (საბანკო გარანტია) სახელშეკრულებით ღირებულების 2% -ის ოდენობით.

დანიშნულების უბანში პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის საფასური 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს „ენერგოტრანსი“ შემდეგ ანგარიშზე: სს „თბილის ბანკი“, ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა # GE37TB7731436030100001 და მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა, მიუთითონ ტენდერის № T-01 G-01/2017.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ 50 ლარიანი გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული, რის შემდგომაც მათ გადაეცემა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია განაცხადების გამოქვეყნებიდან 2017 წლის 23 მარტის 18:00 საათამდე.

სატენდერო წინადადებები და საკვალიფიკაციო მონაცემები პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ 2017 წლის 24 მარტის 10:00 საათიდან 15:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრე-

ტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2017 წლის 24 მარტი 15:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.

ტენდერში მონაწილეობისათვის პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები და დოკუმენტები:

- ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის და ინდ. მეწარმეებისათვის:
  1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრებიდან;
  2. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
  3. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის:

- 1. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- 2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

გ) ფიზიკური პირისათვის:

- 1. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- 2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

შენიშვნა: პრეტენდენტს არ უნდა გააჩნდეს ქონებაზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა.

ქვემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან დადგენილი წესის შესაბამისად დამოწმებული ქართული თარგმანის სახით.

ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, ასევე დასაშვებია ინგლისურ და რუსულ ენებზე (ოღონდ იმ პირობით, თუ მას თან დაერთვება ქართულ თარგმანს) დასურვლ კონვერტილი წესის შესაბამისად დამოწმებული ზუსტი თარგმანი ქართულ ენაზე. ამ შემთხვევაში მოცემული სატენდერო წინადადების ინტერპრეტაციის დროს უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს დასურვლ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით: პრეტენდენტის დასახელება, შპს „ენერგოტრანსი“ სატენდერო კომისიას. ტენდერი № T-01 G-01/2017.

სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის შემდეგ შემთხვევებში: ა) თუ პრეტენდენტის მიერ არ არის წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი (თანხლები დოკუმენტების ჩათვლით) ან/და ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში - ნიმუში;

ბ) თუ სატენდერო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში პრეტენდენტი ვერ შეძლებს ან არ მოახდენს სატენდერო განაცხადებით მოთხოვნილი საკვალიფიკაციო მონაცემების დაზუსტებას, შევსებას, წარდგენას ან ხელახალ დადასტურებას;

გ) თუ პრეტენდენტი არ დათანხმდება სატენდერო კომისიის მიერ მის სატენდერო წინადადებაში აღმოჩენილი შეცდომების გასწორებას;

დ) თუ სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განაცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ე) თუ შესყიდვის პროცედურების დროს აღვლილი ექნება პრეტენდენტის არაკეთილსინდისიერ ქმედებას;

ვ) თუ შესყიდვის პროცედურებში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ან/და მათი დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება.

პრეტენდენტის სატენდერო წინადადების სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში დასაშვებია სატენდერო წინადადება დაზუსტდეს, შეივსოს ან წარდგენილი იქნეს სატენდერო განაცხადებაში მოთხოვნილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია ან სატენდერო წინადადება მისი არსის შეუცვლელად, ხოლო წინადადება შემთხვევაში სატენდერო წინადადება შეფასებაზე არ დაიშვება.

უპირობო ვაჭრობის დროს არ დაიშვება სატენდერო წინადადების ფასის გაზრდა.

პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება.

უპირობო ვაჭრობის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.

აღნიშნულ ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირს.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას სატენდერო დოკუმენტაციის განაცხადის დასრულებამდე „შემსყიდველ“ ორგანიზაციაში. განაცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ ასევე გამოქვეყნდება შემსყიდველის ვებ-გვერდზე: [www.energotrans.com.ge](http://www.energotrans.com.ge).

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“.

საკონტაქტო პირები: დირექტორის მოადგილე ლოჯისტიკის საკითხებში ზაზა ცოციაშვილი მობ: 577991999, ელ. ფოსტა: [za-za.tsotsiashvili@energotrans.com.ge](mailto:za-za.tsotsiashvili@energotrans.com.ge) და შესყიდვების მენეჯერი თეა ტორიაშვილი ტელ: 577625485 ელ. ფოსტა: [t.toriashvili@energotrans.com.ge](mailto:t.toriashvili@energotrans.com.ge).

აღნიშნული ტენდერი ტარდება შპს „ენერგოტრანსი“ მიერ საქონლის, მომსახურების და სამუშაოების შესყიდვის წესის შესაბამისად.

## პირდაპირი უსსოური ინვესტიციები იზრდება

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2016 წლის IV კვარტალში 330 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2015 წლის IV კვარტალის წინასწარ მონაცემებზე 23 პროცენტით, ხოლო ამავე პერიოდის დაზუსტებულ მონაცემებზე 1 პროცენტით მეტია.

განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით პირველ ადგილზე აზერბაიჯანი იმყოფება 44 პროცენტით, მეორე ადგილზე - თურქეთი 23 პროცენტით, ხოლო მესამე ადგილზე გაერთიანებული სამეფო - 12 პროცენტით.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2016 წლის IV კვარტალში 75 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში განხორციელდა და 128 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 39 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება ენერ-

გეტიკის სექტორი 63 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - მშენებლობის სექტორი 58 მლნ. აშშ დოლარით.

## უპრეზენტაბო მუშის ბაზირი კაბინაში

საბურთალოს რაიონში, ფარნავაზ მეფის გამზირზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. გზის კაპიტალური შეკეთების სამუშაოებს თბილისის მერი დავით ნარმანი, მერის მოადგილე გიგა ნიკოლეიშვილი და კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი გივი კუბლაშვილი გაეცნენ.

თბილისის მერის თქმით, დიდ დილოში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების უკვე მეორე მასშტაბური პროექტი ხორციელდება, ხოლო ქალაქში გზის საფარის დაგების სამუშაოები ერთდროულად 20-ზე მეტ ქუჩაზე მიმდინარეობს.

„დიდ დილოში ძალიან მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სამუშაოები დავიწყეთ. ზამთრის შემდეგ გზა ძლიერ იყო დაზიანებული და კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებდა. ამ ეტაპზე გზის საფარის მოხსნა მიმდი-

ნარეობს, რის შემდეგაც ახალი გზის საფარი დაიგება,“ - განაცხადა დავით ნარმანიამ.


გზის კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოებს, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის დაკვეთით, კონტრაქტორი კომპანია შპს „ენ სი სი“ ახორციელებს. სამუშაოები მიმდინარე წლის 9 მარტს დაიწყო და ივნისში დასრულდება.



საორტული ტანვარჯიში

ახალგაზრდული ჯილდოები

წლეულს უნგრულ დიორში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი გაიმართება. ამ შეჯიბრებისთვის ოთხი ქართველი ტანვარჯიში ემზადება - მარიამ ფერაძე, ბიძინა სიჭინავა, ლევან სხილაძე და ლალი დეკანოზიძე. ეს უკანასკნელი დედისთან - საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონა და საკავშირო პირველობების გამარჯვებულ სოფიკო მანაგაძესთან ერთად ამერიკაში ცხოვრობს და იქვე დედის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. იგი საქართველოს მოქალაქეა. ამას წინათ 13 წლის ქართველმა ტანვარჯიში ამერიკაში ოლიმპიური ჩემპიონის - ნასტია ლუკინას ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში ახალგაზრდებს შორის მრავალჯერ ვერცხლის მედალი დაიმსახურა.



ბიძინა სიჭინავა

ფერაძემ, სიჭინავამ და სხილაძემ რიგში თანატოლთა შორის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზეს. სიჭინავამ ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. მრავალჯერ ქართველი ტანვარჯიში სხუთ იარაღზე გამოსვლის შემდეგ პირველ ადგილზე იყო, მაგრამ თავისუფალ ვარჯიშში უხეში შეცდომა დაუშვა და საბოლოოდ 52 მონაწილეს შორის 71,5 ქულით მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა (ლევან სხილაძემ 61,8 ქულით მე-9 ადგილი დაიკავა). სამაგიეროდ, ოთხ იარაღზე ფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვა:

რგოლებზე 12,5 ქულით, ხოლო ბჯენით ხტომებშიც 12,35 ქულით მეორე ადგილები დაიკავა, ლერძზე ვარჯიშში კი 11,7 ქულით ბრინჯაოს მედალი ერგო. ორძელზე ვარჯიშისას ბიძინამ შეცდომა დაუშვა და მე-6 ადგილით დაკმაყოფილდა. ფერაძე მრავალჯერ მე-11 ადგილზე გავიდა.

ლევან სხილაძე

ლეგიონერი



რომორც მოგეხსენებათ, შარშანდელი ევროლიგის ნახევარფინალში თორნიკე შენგელიას „ბასკონია“ სტამბოლის „ფენერბახჩესთან“ დამარცხდა.

წლევენდელი გათამაშების 25-ე ტურში რევანში შედგა, თანაც თურქული გრანდის სარბიელზე - 79:74.

სტუმართაგან ლარკინმა ივაჟკაცა (19 ქულა), ხოლო მისმა ერთბაშად ექვსმა პარტნი-

სისხლი სისხლის წილ

ორმა, მათ შორის ჩვენმა თანამემამულემ 7-7 ქულა მოაგროვა, რასაც თორნიკემ 21 წუთში კიდევ 6 მოხსნა, 3 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება დაუმატა.

მართალია, რეგულარული სეზონის ფინიშამდე კიდევ 5 ტურია დარჩენილი, მაგრამ ბასკურ კლუბს უკვე თამამად შეგვიძლია მივულოცოთ პლეი-ოფში გასვლა.

ვიტალი ჯაფარიძე

ჩოგბურთი

დაიწყო და... დაასრულა

ინდიან უელსის პრესტიჟული მასტერსის პირველი წრე უკანასკნელი აღმოჩნდა ნიკოლოზ ბასილაშვილისთვის.

ძირითად ბადეში ავსტრალიელი ებდენისა და ყაზახი ბუბლიკის ძლევის შედეგად გაღწეული საქართველოს პირველი ჩოგანი საერთაშორისო კლასიფიკაციაში 153-ე პოზიციაზე მყოფ ბარბადოსელ დარიან კინგთან დამარცხდა - 5:7, 5:7.

მართალია, კუნძულები ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტს, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში აშკარად მოუმატა, რასაც მის მიერ შემფისის ტურნირზე ამბიციურ ავსტრალიელ ბერნარდ ტომიჩთან მოპოვებული გამარჯვებაც მოწმობს, სულ კი ეი-ტი-პის ტურში გამართული 21 მატჩიდან 15 აქვს მოგებული.

შეგახსენებთ, რომ მასთან წარმატების



შემთხვევაში ნიკას ფრანგი გავლ მონფისისთვის უნდა გაენია მეტოქეობა.

კობა კობახიძე


კრივი

რუმიანოვი - უსანიუნაპი უპიძულით

40 ძვეყნის მოკრივეები მოიყრიან თავს 22-წლამდეელთა ევროპის ჩემპიონატში, რომელსაც 15-22 მარტს რუმიანოვი უმასპინძლებს. ტურნირზე საქართველოს (მწვრთნელები - შალვა დუნდუა და ბეჟან ჭიჭინავა) სპორტულ ღირსებას დაიცავენ ნოდარ დარბაიძე (49 კგ, თბილისი), არტემ გომციანი (56, ახალქალაქი), ლაშა გურული (64, რუსთავი), ესკერხან მაღიევი (69, თბილისი), კონსტანტინე სვისტანი (75, ქუთაისი), რატი ტლაშაძე (81, გორი) და გიორგი ჭილაძე (+91, თბილისი). ჩვენებურთაგან სვისტანი 21 წლისაა, დანარჩენთა ასაკი კი 19 წელს არ აღემატება. ამდენად, ისინი 3-4 წლით უფროს მეტოქეებს დაუპირისპირდებიან. ახალგაზრდულ ასაკის მიუხედავად, ჩვენებს საერთაშორისო რინგზე გამოსვლის

გამოცდილება არ აკლიათ. ახალგაზრდებში ევროპის 2016 წლის ჩემპიონია მადიევი, ჭილაძემ შარშან ახალგაზრდებში მსოფლიოს პირველობაზე მოიპოვა ვერცხლის მედალი, ევროპაზე კი მესამე ადგილი ხვდა, 2015 წელს გურულს მსგავს შეჯიბრებაში „ბრინჯაო“ ერგო, ტლაშაძე და სვისტანიც ჭაბუკებში ევროპის პრიზიორები არიან. დანარჩენს კი რუმიანოვის რინგი გვიჩვენებს.

ლაშა დიდიანი



სამთო თხილამურეზი

კარსხლბაქისკან - თოვლიანი ტრასებით



მძვნი ქართველი ახალგაზრდა სპორტსმენი მონაწილეობდა სამთო მოთხილამურეთა საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც თურქულმა კურორტმა ბურსასულუდაგმა უმასპინძლა. საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის ეგიდით გამართულ შეჯიბრებაში 2001-2004 წლებში დაბადებული გოგო-ბიჭები ასპარეზობდნენ. გიგანტურ სლალომში სანდრო უორუოლიანი პირველი იყო, ხოლო მათგანა ჯაფარიძემ მესამე ადგილი დაიკავა. მანვე სლალომშიც ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, ბიჭებში კი მეორე იყო ლევან ბოგიშვილი.

გივი ბაგვა

ფეხბურთი

არის ასეთი ტურნირი

ბეზრი იფიქრა თუ ცოტა, უფამ ევროპა ლიგის პრესტიჟის ასამაღლებლად ამ ტურნირის გამარჯვებულს ჩემპიონთა ლიგის საგზური უფუქსაშა, რამაც შედეგი გამოიღო.

რამდენიმე წლის წინათ მთელი რიგი გრანდები რეზერვისტებს ასაქმებდნენ, ამჟამად კი თვით შოზე მაურინიუს განვრთნილი „მანჩესტერ იუნაიტედი“ როსტოვს უძლიერესი შემადგენლობით ესტუმრა და კარგა გვარიანად შელანძღულ სარბიელზე რუსულ კლუბთან დიდი ბრძოლაც გადაიტანა - 1:1. სხვათა შორის, პორტუგალიელი სპეციალისტი ტალახისაგან აზელილ გაზონზე თამაშის სასტიკი წინააღმდეგი იყო, მაგრამ ვინ მოუსმინა.

მერვედფინალის პირველი

რაუნდის დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: „ლიონი“ - „რომა“ 4:2, „შალკე“ - „გლადბახი“ 1:1, „სელტა“ - „კრასნოდარი“ 2:1, „აპოელი“ - „ანდერლესტი“ 0:1, „კოპენჰაგენი“ - „აიაქსი“ 2:1, „ოლიმპიკოსი“ - ბეშიქთაში“ 1:1, „გენტი“ - „გენვი“ 2:5.

გიორგი შოთაძე



ინტერნეტიდან

დიტა ფონ ტიზის დიდი მოხება

ამერიკაში იშვიათია ცნობილი ლამაზმანი, რომელსაც სპორტისადმი ცხოველი ინტერესი არ ჰქონდეს. ეს ერთგვარი მოდა იმის გამოძახილია, რომ შტატებში სპორტის მრავალი სახეობა პოპულარული და ისე აბა როგორ მოხდება, რომ ცქვიტ ასულებს ერთი კლუბი ან მოთამაშე მანც არ ჩაუვარდეთ გულში.

ამერიკაში ყველამ იცის, რომ ცნობილი იქაური

მოდელი, მოცეკვავე და მსახიობი დიტა ფონ ტიზი საკალათბურთო კლუბ „ჩიკაგო ბულზის“ დიდი გულშემატკივარია, მაგრამ ვინც ამ გუნდის ბოლო წლების გამოსვლას ადევნებს თვალს, ადვილი შესამჩნევია, რომ „ხარების“ ქომბაგებს საამაყო ბევრი არაფერი აქვთ.

ეს სიბეჭავე და წარუმატებლობა დიდად არ ამწუნებს მშვენიერ დიტა ფონ ტიზის და პოპულარული მოდელი დღენიდაც ირწმუნება, რომ სულ მალე დაგება ჟამი ჭეშმარიტებისა და ილინოისის შტატის მთავარი ქალაქის კლუბი ძველ დიდებას დაიბრუნებს. თუ ასეა - ოცნებას არც მოდელი მოუკლავს და არც მთელი ერი...

როსტომ რაჭველიშვილი



ტრამპის განკარგულებას გაასაჩივრებენ

ტრამპის მიერ გამოცემულ საიმიგრაციო რეგულაციებს მოწინააღმდეგეები ისევ გამოუჩნდა. პრეზიდენტის განკარგულებას ნიუ იორკი და ვაშინგტონი გაასაჩივრებენ. მანამდე ანალოგიური გადაწყვეტილება ჰავაის შტატმა მიიღო. საიმიგრაციო კანონის რედაქტირებულ ვარიანტს ხელი ტრამპმა 7 მარტს მოაწერა. 7 მუსლიმანური ქვეყნის სიიდან, რომლის მოქალაქეებსაც აშშ-ის ტერიტორიაზე შესვლა ეკრძალებათ, მხოლოდ ერთი ამოღებული



აშშ-მა სირიაში დამატებითი კალაუზი შეიყვანა



აშშ-მა სირიაში დამატებითი რამდენიმე ასეული საზღვაო ქვეითი შეიყვანა. ამის შესახებ გამოცემა Washington Post იტყობინება. გაერთიანებული ინფორმაციით, ამერიკელი ჯარისკაცები ადგილობრივ ძალებს ისლამური სახელმწიფოს დედაქალაქად წოდებული რაკას გათავისუფლებაში დაეხმარებიან. ისინი ქალაქიდან 32 კილომეტრის დაშორებით ფორპოსტს შექმნიან, საიდანაც ისლამისტების საარტილერიო ცეცხლით დაბომბვა იქნება შესაძლებელი.

შპარცაენაპარს პოლიტიკაში დაბრუნება სურს

არნოლდ შპარცაენაპარი შესაძლოა, პოლიტიკაში დაბრუნდეს. ამის შესახებ გამოცემა „პოლიტიკო“ იტყობინება. კალიფორნიის ყოფილი გუბერნატორის წარმომადგენლის დენივალ კეტჩელის თქმით, არ არის გამორიცხული, შპარცაენაპარმა კენჭი გუბერნატორის პოსტზე ისევ იყაროს. არნოლდ შპარცაენაპარი ტრამპის აქტიური ოპონენტია. ის ახალი საემიგრაციო კანონის წინააღმდეგ გამოდის.



კალიფორნიის ყოფილი გუბერნატორის წარმომადგენლის დენივალ კეტჩელის თქმით, არ არის გამორიცხული, შპარცაენაპარმა კენჭი გუბერნატორის პოსტზე ისევ იყაროს. არნოლდ შპარცაენაპარი ტრამპის აქტიური ოპონენტია. ის ახალი საემიგრაციო კანონის წინააღმდეგ გამოდის.

გვატამალაში 3-დღიანი გლოვა გამოცხადდა



გვატამალაში ხანძრის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა იზრდება. ბოლო მონაცემებით, უბედურმა შემთხვევამ სან-ხოსე პინულაში 35 ადამიანი იმსხვერპლა. არასრულწლოვანთა თავშესაფარს ცეცხლი გვიან ღამით გაუჩნდა. მაშველებმა ბავშვების დროული ევაკუაცია ვერ შეძლეს. პრეზიდენტის განკარგულებით ქვეყანაში 3-დღიანი გლოვა გამოცხადებული.

მერკელის რეიტინგი იზრდება

ანგელა მერკელის რეიტინგი იზრდება. სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებს „დოიჩლანდ ტრენდის“ კვლევითი ცენტრი აქვეყნებს. გაერთიანებული ინფორმაციით, დღეისათვის გერმანიის კანცლერს მოსახლეობის 60 პროცენტის მხარდაჭერა აქვს, მის მთავარ კონკურენტს მარტინ შულცს კი მხარს ამომრჩეველთა 52 პროცენტი უჭერს. ბუნდესტაგის არჩევნები გერმანიაში 24 სექტემბერს გაიმართება.



სულიერება

დიდმარხვის მეორე კვირიაკე წმინდა ბრიგოლი კალაპე


11 მარტს მიცვალებულთა ხსენება, რომელიც მარხვით სრულდება.

12 მარტს წმინდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს დიდმარხვის მეორე კვირიაკეს. ...შემთხვევითი არ არის დიდმარხვის მეორე კვირიაკეს გრიგოლი პალამას ხსენება. ის ასე ბრძანებს მარხვის შესახებ: „როცა მუცელს დამონებული სპობს ყველა სათნოებას და სხვადასხვაგვარი ვნების მონა ხდება, ასევე ნაყროვანების სიბილნისგან განწმენდილი თავშეკავებაც შობს ჩვენში ვნებათაგან თავისუფლებას“. საგულისხმოა ისიც, რომ გრიგოლი პალამა სანამ მთავარეპისკოპოსობას მიღწევდა, დიდი „გზა“ გაიარა... მან 20 წლის ასაკში ვატოპედის მონასტერში დაიწყო მოღვაწეობა. ახლა კი, ის და მისი მოღვაწეობა ისეთი წმინდანების რანგში გადის, როგორებიც არიან წმინდა ბასილი დიდი, იოანე ოქროპირი, ათანასე დიდი და სხვა სწავლულები. ნიშანდობლივია ისიც, რომ გრიგოლი პალამას ლოცვით აყვავებულა, თურმე, სილაბაზით ცნობილი ათონის მთა. გიული ლიპარტიანი



საერთაშორისო ვიზიტორები მომრავლდნენ

2017 წლის იანვარ-თებერვლის პერიოდში, საერთაშორისო ვიზიტორების რიცხვი გაზრდილია (10.5%; 71 000 კაცით), 2016 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 775 000 კაცს შეადგენს. მთლიანი ვიზიტორების დაახლოებით 45% (333 000 კაცი) მიეკუთვნება კატეგორიას „ერთდღიანი ვიზიტი“, 17% (128 000 კაცი) საქართველოს სტუმრობს ტრანზიტული მიზნით, ხოლო 37% (294 000 კაცი) არიან ის ვიზიტორები, რომლებიც საქართველოში 24 საათზე მეტს ატარებენ.



ვიზიტორების ზრდა აღირიცხება როგორც იანვარში (19.8%, 64 000 კაცით), ასევე თებერვლის თვეში (2.1%, 8 000 კაცით). აღსანიშნავია, რომ 2017 წელს გაგრძელდა ვიზიტორების ზრდის ტენდენცია. კერძოდ, 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, ვიზიტორების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა (7.6%, 450 ათასი კაცი) და 6.3 მლნ. კაცი შეადგინა. საინტერესოა, რომ 2016 წელს ვიზიტორების ზრდა დაფიქსირდა ყველა თვეში აგვისტოს გარდა, როცა ვიზიტორების რაოდენობა 5 000 კაცით შემცირდა

2017 წლის იანვარ-თებერვლის მდგომარეობით, საქართველოში ვიზიტორების რაოდენობის მხრივ კვლავ აზერბაიჯანი ლიდერობს (221 000 კაცი). ვიზიტორთა რაოდენობა მნიშვნელოვნადაა გაზრდილი რუსეთიდან (36.0%, 31 400 კაცით), სომხეთიდან (18.2%, 24 300 კაცით) და ირანიდან (5-ჯერ, 12 400 კაცით). ვიზიტორების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირებულია თურქეთიდან (-11.6%, -19 700 კაცით), თუმცა კვლავ რჩება რიგით მესამე პარტნიორ ქვეყნად. 2017 წლის იანვარ-თებერვლის პერიოდში, ვიზიტორების 81% საქართველოში სასმელეთო ტრანსპორტით შემოვიდა, მაშინ როცა გასულ წელს აღნიშნული მაჩვენებელი 86% იყო. სასმელეთო ტრანსპორტით შემოსული ვიზიტორების შემცირების ფონზე მნიშვნელოვნადაა გაზრდილი საჰაერო ტრანსპორტით შემოსული ვიზიტორების წილი მთლიან ვიზიტორებში.

სანთელი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება სამძიმარს უცხადებენ აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ალექსანდრე კვინიხიძეს დედის

ელენა ტარ-აპაქოვას გარდაცვალების გამო.

თემურ (ბუძა) ცხოვრებაშვილის უახლოესი მეგობრები სამძიმარს უცხადებენ ელზა სოლოლაშვილისა და ბუძა ცხოვრებაშვილის, შორენა და ირაკლი ცხოვრებაშვილების ოჯახებს დედის, სიდედრისა და ბუბის, უკეთილშობილესი ქალბატონის

მადლენა ოსაფაიშვილის გარდაცვალების გამო.

იური ოსიპოვი, გურამ ჯაიანი, გივი ცაგარელი, ირაკლი მელაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საუკეთესო მეგობრის

ჯუშუპარ ქვარაიას გარდაცვალების გამო.

დააკავეს გამოქალაქელები

შს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დაწესებულებებთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ჯგუფურად ჩადენილი დიდი ოდენობით ქონების გამოძალვის ბრალდებით, წარსულში ნასამართლევი სამი პირი: 1989 წელს დაბადებული გ.გ., 1981 წელს დაბადებული ბ.დ. და 1973 წელს დაბადებული გ.ო. თბილისში დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა მოქალაქეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, შემდეგ კი ევროპაში მყოფი ერთ-ერთი ე.წ. „კანონიერი ქურდის“ სახელით, „ქურდული სამყაროს“ სასარგებლოდ, მისი და მისი ოჯახის წევრების სიცოცხლის მოსპობის მუქარით, 23600 აშშ დოლარის გადახდა მოსთხოვეს. ბრალდებულები სისტემატურად უკავშირდებოდნენ მოქალაქეს და მისი და მისი ოჯახის წევრების სიცოცხლის მოსპობის მუქარით ფულის დროულად მიტანას სთხოვდნენ. ამასთან, უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ თანხის დროულად გადაუხადებლობის გამო, რადგან მათ მიერ მოთხოვნილ თანხას ელოდებოდა აღნიშნული ე.წ. „კანონიერი ქურდი“, რომლის მეშვეობით ფულის ნაწილი ე.წ. „ქურდულ საერთოში“ უნდა შესულიყო. გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი დიდი ოდენობით ქონების გამოძალვის ფაქტზე მიმდინარეობს.

ეს საინტერესოა

ჯანმრთელი არტერიების სასმელი

მწვანე ჩაის „ჯანმრთელი არტერიების სასმელს“ უწოდებენ. იაპონელმა მეცნიერებმა დასკვნა გამოიტანეს, რომ ამომავალი მზის ქვეყნის მცხოვრებთა სიცოცხლის ხანგრძლივობა დიდადაა დაცვირებული მწვანე ჩაის მოხმარებასთან.



პოლიფენოლური შენაერთები, რომლებსაც მწვანე ჩაი შეიცავს, ელასტინის გამოშვებას უწყობს ხელს, რომელიც არტერიების კედლებს სიმტკიცის და მოქნილობას ანიჭებს.

სამი უინჯანი ყავა...


დღის განმავლობაში სამი ფინჯანი ყავა ხანდაზმულ ადამიანთა სიცოცხლეს მთელი 10 პროცენტით ახანგრძლივებს, ესაა მეცნიერთა 12-წლიანი დაკვირვების დასკვნა, რა დროსაც ისინი 51-70 წლის ასაკის 400 ათასზე მეტ კაცს აკვირდებოდნენ.



გამოკვლევის შედეგები მიანიშნებს, რომ ეს არომატული სასმელი, თუკი მას რეგულარულად მივირთმევთ, აუმჯობესებს გულის სისხლძარღვთა, თავის ტვინის, სასუნთქ გზებისა და სხვა ორგანოთა მდგომარეობას. გარდა ამისა, ყავის მოყვარულებს ნაკლებად მოსდით ტრამები, უფრო იშვიათად ავადდებიან დიაბეტითა და ინფექციებით.

### ნიანგის უკველესი კვირსეუნი

დსაპლემი პორტუგალიაში ნიანგის უკველესი კვირსეუნი აღმოაჩინეს. ისინი საუკეთესო მდგომარეობაშია შემონახული. ახალი აღმოჩენა 125 მილიონი წლით თარიღდება. მეცნიერთა ვარაუდით ნიანგები დედამინაზე 200 მილიონი წლის წინ გაჩნდნენ.



### ბაქოში ალუჩა 720 მანათი, ანუ 1052 ლარი ღირს




ბაქოში ალუჩა ფანტასტიკურ ფასებში იყიდება. აზერბაიჯანული მედია წერს, რომ დედაქალაქის სავაჭრო ცენტრში ალუჩას კოსმიური ფასი ადევს. პორტალი Oxu.Az el0.az-ზე დაყრდნობით წერს, რომ „Port Baku“-ში ერთი კილოგრამი ალუჩა 720 აზერბაიჯანულ მანათად, ანუ 1052 ლარად იყიდება.

მიუხედავად იმისა, რომ ბაქოში ალუჩას მაღალი ფასი ადევს, მყიდველი მაინც საკმაოდ ბევრი ყავს. პორტალი წერს, რომ ალუჩაზე მოთხოვნა მაინც ქალების მხრიდანაა. ალუჩა განსაკუთრებით პოპულარულია ორსულ ქალებში და ისინი ან მისი ოჯახის წევრები იძულებულნი არიან, ის ნებისმერ ფასად შეიძინონ.

### ახალი ტანსაცმელი მუსლიმანი სპორტსმენებისთვის

სპორტული ტანსაცმელების ბრენდმა NIKE-მ, თავსაბურავის გამოყენებული მუსლიმანი ქალი სპორტსმენებისათვის დამზადებული ტანსაცმლის პრეზენტაცია გამართა. NIKE-ს მიერ დამზადებული თავსაბურავების და ტანსაცმლის გაყიდვა 2018 წლის გაზაფხულიდან დაიწყება. ბრენდმა ამის შესახებ გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც მათ მიმართ ამ საკითხთან დაკავშირებით მოთხოვნა გაიზარდა.




### რა არის სიყვარული?

ნეიროზი, შეცვლილი გონება კლინიკური ნერვული აშლილობის ყველა ნიშან-თვისებით — ასე ახასიათებენ შეყვარებულობის გრძნობას მედიკოსები. ისევე, როგორც თავის ტვინში მიმდინარე ყველა სხვა პროცესი, სიყვარულსაც ახლავს ქიმიური მოვლენები და რეაქციები. მაგრამ, სიყვარული — ეს „ქიმიაცაა“ და გონების მდგომარეობაც. დიას, როგორც ამბობენ, სიყვარული გულშიცაა და სულშიც, მაგრამ მისი ხელოვნურადაც, ქიმიურ ნივთიერებათა გამოყენებითაცაა შესაძლებელი. მაგალითად, ფერომონების მეშვეობით ადამიანის თავის ტვინზე ზემოქმედებით, მასში ძლიერი სიყვარულის გრძნობის აღძვრა სავსებით რეალურია.



### სამკურნალო კომპოსტო



ბროკოლი ფენოლურ შენაერთებს შეიცავს, რომლებიც სიმსივნეებისა და გულის კორონარული უკმარისობის წარმოშობის ალბათობას ამცირებენ — ასეთია ამერიკის ილინოისის უნივერსიტეტის მეცნიერთა დასკვნა. შეჯვარებით მათ ბროკოლის ახალი ჯიშის შექმნა სურთ, რომელიც ანტიოქსიდანტების მაქსიმალური შემცველობით იქნება გამოირჩეული, რის შემდეგ კომპოსტოს სხვა ჯიშების ჯერი დადგება. საკმე ისაა, რომ ადამიანის ორგანიზმი ფენოლურ შენაერთებს დამოუკიდებლად ვერ ჰქმნის, ამიტომ დიდად მნიშვნელოვანია, რომ მათ საკვები შეიცავდეს. ამჟამად, საიმისოდ, რომ რაციონში მათი შემცველობა ორგანიზმში საკმარისი იყოს, საჭიროა ბროკოლის 3-4 დღეში ერთხელ მიღება.

### თვალნათელი მავალითი

სამედიცინო დაწესებულება თანამშრომლები ხელეხს საჭიროზე ორჯერ უფრო იშვიათად იბანენ, გამოარკვევის ამერიკის შეერთებული შტატების სნეულებათა პრევენციის ცენტრის თანამშრომლებმა. არადა, ჰიგიენის წესების დაცვა ინფექციების გავრცელების შეზღუდვის შესაძლებლობას იძლევა. დეტროიტის ერთ-ერთი საავადმყოფოს სპეციალისტებმა ხერხი მოიგონეს, რომლითაც ექიმებს ჰიგიენის მოთხოვნათა დაცვა აიძულეს. მათ კარების სახელურებიდან, საავადმყოფოს კომპიუტერების თავსუნიდან, ულტრაბგერითი აპარატიდან, მობილური ტელეფონებიდან და თავად მედმუშაკთა ხელებიდან სინჯები აიღეს. აღმოჩენილი მიკროორგანიზმები შემდეგ ფოტოფირზე გადაიღეს, გაადიდეს და ორი თვის მანძილზე საავადმყოფოს ოთხ განყოფილებაში გამოაკრეს, სადაც ჰიგიენის მაჩვენებლები ყველაზე დაბალი იყო...



### რამდენი სორცის ჭამა შეიძლება?



სშირად გაიგებდით, რომ ორმოცი წლის ასაკის მიღწევის შემდეგ ბევრი სორცის ჭამა ვნებს. არადა, სომ საინტერესოა, სად გადის ზღვარი „ცოტასა“ და „ბევრს“ შორის? წითელი სორცი დიდი ოდენობით ადვილად შესათვისებელ რკინასა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სხვა ელემენტებს შეიცავს, ამიტომ მის მიღებაზე სავსებით უარის თქმამ შესაძლოა, ანემიისა და სხვა დაავადებათა პროვოცირება გამოიწვიოს. მაგრამ ისიცაა, რომ 30-35 წლის მიღწევის შემდეგ სორცი რაციონის საფუძველი არ უნდა იყოს. ექიმთა უმრავლესობის აზრით, მას კვირაში ერთ-ორჯერ უნდა მივირთმევდეთ, 40 წლის მერე კი საკვები, ძირითადად, ბოსტნეული, ხილი და რძის პროდუქტები უნდა იყოს. ყველაფერი კი რაც კალორულია და გემრიელი, სუფრას მხოლოდ დღესასწაულებზე უნდა ამშვენებდეს.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS REPUBLIKA

სულხან-საბას ძ. №3 მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია 293-13-34 599 36-00-35

გამომცემელი: შპს „თანადგომი“-1 გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი ტ: 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“

ISSN 2233-3851 9 772 233 385 001

ავტორთა საყურადღებოდ! რედაქციის მიერ შეუკვეთი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ უენი გაზეთია, აუსილებლად წაიკითხე!

უხსოვარი პაუზის ქარსი: აშუ ფონური - 2.4767; პირი - 2.6149; პრინტინგის ბიზნესი სტარტინგი - 3.0092; 100 რუბლი - 4.1845; ონლაინ-სერვისი - 0.6598; ავტორიზაციის მანათი - 1.4032; 1000 სოფლის ფრაგი - 5.0992.

აივნი 11 მარტისთვის: ავტორიზაციის საბაზისი: პირი - ლაპ +3, ფაქსი +16; მითინგის ბიზნესი - ლაპ -3, ფაქსი +14; დანართის საბაზისი: პირი - ლაპ +10, ფაქსი +24; მითინგის ბიზნესი - ლაპ +5, ფაქსი +18; ონლაინ-სერვისი: ლაპ +8, ფაქსი +14.

დავითიანთ, მოგზაართ: ტელ: 293-13-34, 599-79-76-79 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge